ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5521636

ნომერი: AR1837333

თარიღი : 12.07.2021

გაცემის თარიღი : 27.07.2021

გაცნობის თარიღი : 28.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ორგანიზაცია:

- შპს "მაგთიკომი" კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13 შპს „ოჯთ“ საკუთრებაში არსებულ ფართზე შპს „მაგთიკომის“ 3 ანტენის

(ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურისთვის) განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მესაკუთრეთ თანხმობა, სანიტარულ ჰიგიენური დასკვნა პროექტზე №270 12.07.2021 წ., მინდობილობა) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13 შპს „ოჯთ“ საკუთრებაში არსებულ ფართზე შპს „მაგთიკომის“ 3 ანტენის (ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურისთვის) განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციის მდგრადობა. დაცული იქნას შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.